საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №57

ქ. ბათუმი 28 ივნისი, 2018 წ.

„2018 წლის 17 სექტემბრიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის შედეგად 65 წელს მიღწეული პირების არჩევის შესაძლებლობის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 ივნისის №55 დადგენილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, 33-35-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერის (№10, 12.06.2018) და ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ირაკლი გორგილაძის (MES 2 18 00815208, 27.06.2018) მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გასწორდეს „2018 წლის 17 სექტემბრიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის შედეგად 65 წელს მიღწეული პირების არჩევის შესაძლებლობის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 ივნისის №55 დადგენილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, პირველი პუნქტის 1.2. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.2. ევროპისმცოდნეობა (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი);“

2. **წინამდებარე დადგენილების გათვალისწინებით შევიდეს ცვლილება ,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/64 ბრძანების N1 დანართში.**

3. **დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (აკადემიური საბჭოს აქტების და კონკურსების ველებში) და გაეგზავნოს** შესაბამის ფაკულტეტს და სტრუქტურულ ერთეულებს (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, იურიდიული დეპარტამენტი).

4. **დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.**

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**